

საპენსიო ასაკს მიღწეული

ქალების საჭიროებების კვლევა:

**მომსახურებისა და მხარდაჭერის სისტემების
ხელმისაწვდომობა ზესტაჟონის
მუნიციპალიტეტის კონტექსტში**

ქუთაისი, საქართველო

2025



საქონლო ასაკს მიღწეული ქალების საქირობების კვლევა: მომსახურებისა და მხარდაჭერის სისტემების ხელმისაწვდომობა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კონტაქტში

ქუთაისი, საქართველო

2025

ავტორი:

თინათინ ჭელიშვილი (ორგანიზაცია „ახალგაზრდები ზესტაფონისთვის“)

სამუშაო ჯგუფი: თინათინ ჭელიშვილი, ნათია გოგიშვილი

სააგენტო უფლება ეკუთვნის თინათინ ჭელიშვილს.

ანგარიში დაიწერა პროექტის – „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ – ფარგლებში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური პროგრამის „ყველა ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“ ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ან CRRC-საქართველოს ოფიციალურ პოზიციას.

მოკლე შეჯამება.....	4
შესავალი.....	5
კონტექსტის მიმოხილვა.....	7
მეთოდოლოგია	9
მიგნებების აღწერა, ანალიზი და განხილვა	11
სოციალური ურთიერთობები	11
ჯანდაცვის საკითხები.....	13
ეკონომიკური საკითხები.....	14
დასკვნა	16
რეკომენდაციები.....	17
ბიბლიოგრაფია.....	18

მოკლე შეჯამება

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა, თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, მიზნად ისახავდა, შეესწავლა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საპენსიო ასაკს მიღწეული ქალების მომსახურების და მხარდაჭერის სისტემების ხელმისაწვდომობა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რეგიონში არსებობს სოციალური და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესების საჭიროება. ასევე ვლინდება, რომ აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაშიც არათანაბრად არის განაწილებული საოჯახო შრომა გენდერის ნიშნით. რესპონდენტების უმეტესობას აქვს ეკონომიკური პრობლემები, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობაზე, ჯანსაღ და სრულფასოვან კვებასა და სხვა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. პრობლემატურია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიას აქვს სოციალური ინტეგრაციის საჭიროება. საოჯახო აქტივობებისა და ახლო სოციალურ წრესთან კომუნიკაციის გარდა, არ აქვთ ხელმისაწვდომობა სხვა აქტივობებზე. სემონური დასვენება, კონო, თეატრი და სხვა კულტურული ღონისძიებები ფუფუნების საგანს წარმოადგენს მათთვის. ყოველივე მიუთითებს აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიისთვის დამატებითი სოციალური მხარდაჭერის სერვისების შექმნის და არსებულის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ყოველწლიურად იზრდება 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში.ⁱ ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2020 წლიდან მკვეთრად შეინიშნება ბუნებრივი მატების უარყოფითი სალდო.ⁱⁱ საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საკითხები, რომლებიც კავშირშია ასაკოვანი ადამიანებთან და მათთვის სოციალური და ჯანდაცვის სერვისების განვითარებასთან. აღნიშნული ფაქტორები განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც საუბარია ასაკოვანი ადამიანებისთვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაზე. თავად ღირსეული სიბერე გულისხმობს სიბერის ეტაპზე ისეთი ცხოვრებისეული პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ასაკოვანი ადამიანების ჯანმრთელობას, დამოუკიდებლობას, საზოგადოებრივ აქტიურობას, დაცულობასა და თვითრეალიზაციას. ღირსეული სიბერის კონცეფცია ეფუძნება ადამიანის უფლებებს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის დაბერების საკითხი მნიშვნელოვან გამოწვევად ვლინდება. საქართველო სწორედ ასეთი ტიპის ქვეყნებს მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები ითვალისწინებს ასაკობრივ მახასიათებლებს, ღირსეული სიბერის საკითხი მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის თუ სოციალური პროგრამები ერთნაირია, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასაკოვანი ადამიანები რიგი პრობლემების და გამოწვევების წინაშე დგანან.

დემოგრაფიული ცვლილებებისა და მოსახლეობის დაბერების ფონზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საპენსიო ასაკს მიღწეული ქალებისთვის სოციალური მომსახურებებისა და მხარდაჭერის სისტემების ხელმისაწვდომობის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ კვლევის მიზანია გამოავლინოს, რამდენად ხელმისაწვდომია არსებული მომსახურება ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის, რა საჭიროებები და ბარიერები აქვთ ქალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რა მიმართულებით არის საჭირო ადგილობრივი მხარდაჭერის გაძლიერება.

კვლევის აქტუალურობას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი. პირველი, ესაა ქვეყანაში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, რაც დასტურდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით. მეორე მხრივ, აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ ასაკოვანი ქალები საჭიროებენ განსაკუთრებით მხარდაჭერას, ვინაიდან წარმოადგენენ ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს. ამასთან, კვლევა საინტერესო და საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხები, შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური პოლიტიკის

განსაზღვრისას. აღნიშნული უზრუნველყოფს, რეგიონში მცხოვრები საპენსიო ასაკს მიღწეული ქალებისთვის შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც გააუმჯობესებს მათ კეთილდღეობას და მისცემს მათ სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში, შესაძლოა, არსებობდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორის სერვისები და პროგრამები, ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ეს სერვისები არ აღწევს მოსახლეობამდე ან არ არის სრულყოფილი. სწორედ ამიტომ, მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში საპენსიო ასაკს მიღწეული ქალებისთვის შესაბამისი სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის სერვისები და აჩვენოს აღნიშნული სერვისებით სარგებლობის გამოცდილება.

კვლევის ჩატარების პროცესში სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საპენსიო ასაკს მიღწეული ქალები. შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა მათი საცხოვრებელი ადგილი (გეოგრაფიული მდებარეობა) და ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორცაა დასახლების ტიპი, ოჯახის ტიპი, და დასაქმების მდგომარეობა. კვლევის მეთოდად შეირჩა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, რაც საკითხის სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომი მოიცავს სოციალური, პოლიტიკური თუ ინსტიტუციური გარემოს შესახებ ინფორმაციას, რომლის პირობებშიც საკვლევი საკითხი გახდა აქტუალური. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ზოგადი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სოციალური პროგრამების დანერგვისას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საპენსიო ასაკს მიღწეული ქალების კეთილდღეობის ხარისხს, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კვლევას დამატებით ღირებულებას ანიჭებს ისიც, რომ მის შედეგად გამოვლენილი საკითხები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ წარსულში უკვე გვექონდა მუშაობის გამოცდილება საპენსიო ასაკის ქალებთან, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ მოვახდინოთ მათი საჭიროებების ხედვა და შევუწყოთ ხელი მათზე მორგებული სერვისების ადვოკატირებისა და განვითარების პროცესს.

კონსტრუქციის მიმოხილვა

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობის სტრუქტურა სწრაფი ტემპით იცვლება. მოსახლეობის ყოველი მომდევნო საყოველთაო აღწერა, ხანდაზმული მოსახლეობის წილის სტაბილურ ზრდაზე მიუთითებს. აღნიშნულზე გავლენას ახდენს, როგორც დემოგრაფიული (შობადობის კლება), ასევე სოციალურ-ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც უმეტესწილად ემიგრაციასთანაა დაკავშირებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში შობადობის დონე მნიშვნელოვნად მცირდება, რაც გავლენას ახდენს მოსახლეობის სტრუქტურაზე და იწვევს დისბალანსს. კერძოდ, მოსახლეობაში იმატებს ხანდაზმული პირების რაოდენობა. მასთან ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე და ეკონომიკური პირობები ქმნის გარემოს, რომლის გავლენითაც საზოგადოების სულ უფრო მეტი შრომისუნარიანი და ახალგაზრდა ნაწილი ტოვებს ქვეყანას და მიემგზავრება ემიგრაციაში. აღნიშნული კი იწვევს მოსახლეობაში „დაბერების ეფექტს“. გაეროს პროგნოზის თანახმად, 65 წლის და უფროსი ასაკის პირების წილი მთლიან მოსახლეობაში მიაღწევს 18,9%-ს 2030 წლისთვის, ხოლო ეს მაჩვენებელი 25,3 პროცენტამდე გაიზრდება 2050 წლისთვის (ბრუნი, ბარტ დე ჯ ჭითანავა, მაკა, 2017). ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეოთხე ადამიანი 65 წლის და უფროსი ასაკის იქნება. აღნიშნული მიუთითებს, რომ საჭიროა აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებები დღის წესრიგში კიდევ მეტი მნიშვნელობით დადგეს.

2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ (საქართველოს პარლამენტი, 2017). აღნიშნული კონცეფციის ძირითადი მიზანია, ხელი შეეწყოს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება და ჩართულობა, სოციალური დაცვა, შრომა და დასაქმება, ჯანდაცვა და კეთილდღეობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლება, თაობათაშორისი სოლიდარობა, მიგრაცია, ქვეყნის საერთაშორისო პროცესში ინტეგრაცია.

აღნიშნული კონცეფციის მიზნების შესაბამისად, შეიქმნა სამოქმედო გეგმაც, რომლის ფარგლებში განხორციელდა გარკვეული პროგრამები. კერძოდ, ხელი შეეწყო ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რაც გარკვეულ რეგიონებში – განსაკუთრებით სოფლად – სამედიცინო ცენტრების აღდგენას და სამედიცინო საჭიროებების ნაწილობრივ დაფინანსებას გულისხმობს. კონცეფციის მიხედვით საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურებებისა თუ მედიკამენტების უზრუნველყოფის მხრივ, გათვალისწინებული უნდა იყოს პენსიონერთა საჭიროებები. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმის ფარგლებში გარკვეული ღონისძიებები გატარდა, გამომდინარე იქედან, რომ ღონისძიებები

საყოველთაოა და არ ან ნაკლებად ითვალისწინებს ცალკეული რეგიონების საჭიროებებსა და თავისებურებებს, 60+ ასაკის ქალები დღესაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან.

კვლევები, რომლებიც უშუალოდ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ჩატარდა და რომელთა დაყრდნობითაც შესაძლებელია ამჟამინდელ საჭიროებებზე საუბარი, ფაქტობრივად არ არსებობს. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული რამდენიმე კვლევა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ზოგადი მდგომარეობის შესაფასებლად.

2021 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) საქართველოს მხარდაჭერით ჩატარებული კვლევა, „მარტობა ხანდაზმულებში“ დაყრდნობით, საქართველოში ხანდაზმულ პირთა (65–85წწ) რაოდენობრივი გამოკითხვა აჩვენებს, რომ ყოველი მეხუთე ხანდაზმული მარტო ცხოვრობს. ამასთან, ხანდაზმულთა დიდი უმრავლესობა (90%) პენსიონერია, რომელიც ანაზღაურებად სამუშაოს არ ასრულებს. ამავე კვლევაზე დაყრდნობით, ხანდაზმულთა მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის როგორც ემოციურ, ისე სოციალურ მარტობას (კაჭკაჭიშვილი & პაპიაშვილი, 2021, გვ. 21). კვლევა აჩვენებს, რომ ჯამურად თითქმის ყოველი მეოთხე ხანდაზმული საქართველოში მარტობით (ემოციური ან სოციალურით) იტანჯება.

სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება,ⁱⁱⁱ რაც ქვეყნის მასშტაბით ფართოდ გავრცელებულ სოციალურ და ეკონომიკური სირთულეებზე მიუთითებს. ამასთან, ქვეყანაში, სადაც მოსახლეობა უმეტესად უფროსი ასაკისაა, უმუშევრობისა და შემოსავლების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა. აქვე გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: ვინაიდან ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აღემატება მამაკაცებისას, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალების რიცხოვნობა აჭარბებს მამაკაცებისას. ასევე, დაქვრივება/განქორწინება მოიაზრებს ემოციური თანადგომის დეფიციტს და ის ასევე დაკავშირებულია ფინანსურ ცვლილებებთან. კერძოდ, ორი პირისთვის განკუთვნილი პენსია დაიყვანება ერთი პირის პენსიამდე, რაც შინამეურნეობის დონეზე ეკონომიკის შეკვეცას იწვევს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მარტოდ დარჩენის, სოციალური იზოლაციისა და ეკონომიკური გამოწვევების საფრთხე გაცილებით უფრო მაღალია ხანდაზმული ქალისთვის, ვიდრე მამაკაცისთვის.

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, გამოცემული ანგარიშით „მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში“ ცნობილი ხდება, რომ „ხანდაზმული მოსახლეობის 84,2 პროცენტისთვის პენსია წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ წყაროს“ (ბრუნი, ბარტ დე & ჭითანავა, მაკა, 2017, გვ. 17).

არსებული მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე კვლევის სამიზნე ჯგუფი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, შესაძლოა, იყოს. აღნიშნულის გათვალისწინებით კი კვლევის აქტუალურობა მეტ მნიშვნელობას იძენს.

მეთოდოლოგია

საკვლევი თემის შესწავლის მიზნით, კვლევაში გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ გავრცელებულ თვისებრივ კვლევის მეთოდს. იგი საშუალებას იძლევა, რესპონდენტების მოსაზრებების, დამოკიდებულებებისა თუ გამოცდილებების შესახებ მივიღოთ ღრმა და დეტალური ინფორმაცია. მიმდინარე კვლევის კონტექსტში აღნიშნული მეთოდის უპირატესობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნას ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს 60 წლის და უფროსი ასაკის ქალების კეთილდღეობაზე. ასევე, გამოაშკარავდეს, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის არსებული სერვისები და სირთულის შემთხვევაში რა არის აღნიშნულის ხელის შემშლელი ფაქტორები. ამასთან, მეთოდი საშუალებას იძლევა, უშუალო პირისპირ გასაუბრების შედეგად მიღებულ იქნას ინფორმაცია, თუ რას ფიქრობენ არსებულ სერვისებზე, მათ გაუმჯობესებაზე ან ახალი სერვისების შექმნაზე. აღნიშნული მეთოდის უპირატესობაა ასევე ის, რომ გარდა ინფორმაციისა, შესაძლებელია, შესწავლილ იქნას რესპონდენტების ემოციური დამოკიდებულება საკვლევი, პრობლემური საკითხების მიმართ.

ბესტაფონის მუნიციპალიტეტის 60+ ასაკის ქალების მომსახურებების და მხარდაჭერის სისტემების ხელმისაწვდომობის კვლევის პროცესში, სამიზნე ჯგუფთან ჩატარდა 12 პირისპირ, სიღრმისეული ინტერვიუ და ორი ექსპერტული ინტერვიუ ბესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების წარმომადგენლებთან. რესპონდენტებთან ინტერვიუები ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე ჩატარდა. კვლევის ფარგლებში დაცულია ეთიკური ნორმები და რესპონდენტთა კონფიდენციალობის საკითხი.

რესპონდენტთა შერჩევისას გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. გათვალისწინებულ იქნა მათი ასაკი, საცხოვრებლის გეოგრაფიული მდებარეობა, განათლება, დასაქმების ტიპი და ოჯახური მდგომარეობა. კვლევამ მოიცვა როგორც ურბანულ დასახლებაში, ისე სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები 60+ ასაკის ქალები.

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი მოიცავდა ფსიქო-სოციალურ, ჯანდაცვის და ეკონომიკურ საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა ორი ექსპერტული სიღრმისეული ინტერვიუ ბესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პირებთან იმის შესასწავლად, თუ რა სახის პროგრამები არსებობს, როგორია მომართვიანობა და რა გამოცდილებები აქვს მუნიციპალიტეტს სოციალური პროგრამების განხორციელების მიმართულებით.

კვლევის პროცესში სერიოზული სირთულეები არ დაფიქსირებულა. კვლევაში მონაწილე ქალების უმეტესობა იყო კომუნიკაბელური და მზად იყვნენ თავიანთი გამოცდილების გაზიარებისთვის. მიუხედავად ამისა, რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ მონაწილე ქალებს სჭირდებოდათ მეტი დრო საუბრისა და მოსმენისათვის. ასევე, ემოციური მხარდაჭერა და თანაგრძნობის გამოხატვა.

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ ის სრულყოფილად ვერ წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებს. ასევე შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კვლევის უშუალო სამიზნე ჯგუფი მხოლოდ ბესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 60+ ქალები არიან და კვლევის შედეგებით ვერ ვიმსჯელებთ სხვა მუნიციპალიტეტის 60+ ქალების მდგომარეობაზე, რომელთაც, შესაძლოა, განსხვავებული საჭიროებები ჰქონდეთ.

მიზნობრივი ალწერა, ანალიზი და განხილვა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საპენსიო ასაკს მიღწეულ ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და კეთილდღეობას. განსაკუთრებით ყურადღების ცენტრშია სოციალური ურთიერთობები, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა და ეკონომიკური მდგომარეობა. თითოეული მიმართულება აღწერილია დეტალურად, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვანიოთ არსებული გამოწვევები და საჭიროებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მხარდაჭერის სისტემების ეფექტური დაგეგმვისთვის.

სოციალური ურთიერთობები

რესპონდენტების დიდი ნაწილი ცხოვრობს გაფართოებული ტიპის ოჯახში. ნაკლებად ვლინდება სოციალური კავშირების დეფიციტი. არ გამოვლენილა სოციალური იზოლაციის პრობლემა. მათი უმრავლესობა ხშირად საუბრობს ოჯახის წევრებთან, მეზობლებსა და ნათესავებთან. მცირე მათგანი აღნიშნავს ახლობლებისა და ნათესავების მხრიდან ეკონომიკურ მხარდაჭერაზე. რესპონდენტთა თქმით, ემოციური მხარდაჭერა უფრო ხშირია, ვიდრე ეკონომიკური, რაც განპირობებულია ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობით: *„მატერიალური მხარდაჭერა ყველას უჭირს, რადგან საშუალოდ ვცხოვრობთ. მატერიალურზე ვერ ვისაუბრებ, ხოლო ემოციურ მხარდაჭერას ძალიან ვგრძნობ მათგან“* (რესპონდენტი 2, 66 წლის).

რესპონდენტთა უმრავლესობა ცხოვრობს ოჯახთან ერთად და ოჯახის წევრებს შორის არ შეინიშნება კომუნიკაციის დეფიციტი. თუმცა, რესპონდენტები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ კონტაქტების დეფიციტის არარსებობასა და ურთიერთმხარდაჭერაზე და ნაკლებად საუბრობენ საკუთარ ემოციურ მდგომარეობაზე: *„არა, არა მექვს მართლობის შეგრძნება, მე მართო ვცხოვრობდი სოფელში და მე არ მეონია იმის კომპლექსი რომ მე მართო ვარ, არც მექვს მართლობის შიში, შიში საერთოდ არ ვიცი რა არის“* (რესპონდენტი 4, 76 წლის).

რესპონდენტთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ თავს მართოდ არ გრძნობენ და რომ გამუდმებით არის ოჯახის წევრებთან კონტაქტი: *„მართლობის განცდა მექვს-თქო, მაგას ვერ ვიტყვი, იმიტომ რომ არც კი მასვენებენ ჩემები, სიმართლე რომ ვითხრათ. ვერც ვგრძნობ თავს მართო, იმიტომ რომ ყველას რაღაცაში ვჭირდები“* (რესპონდენტი 2, 66 წლის).

აღნიშნულის საპირისპიროდ კვლევაში ასევე იყო რესპონდენტი, რომელიც საუბრობდა მართლობაზე, როგორც ემოციურ მდგომარეობაზე და გამოხატავდა ფიზიკური განმარტოების სურვილს, რომელიც მის წინაშე არსებული და მის მიერ აღებული პასუხისმგებლობებისგან დროებით თავის არიდების

სურვილით იყო განპირობებული. გამომწვევი მიზეზი მეტწილად დაკავშირებულია ფიზიკურ და ემოციურ გადაღლასთან. მსგავსი მდგომარეობა ვლინდებოდა რესპონდენტთან, რომელიც ცხოვრობდა გაფართოებული ტიპის ოჯახში, სადაც მისი დღის განრიგს წარმოადგენდა საოჯახო საქმესთან ერთად სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობა და შვილიშვილების აღზრდის პროცესში რძლისთვის დახმარების გაწევა. აღნიშნული რესპონდენტი მიუთითებს გადაჭარბებული შრომით გამოწვეულ ფიზიკურ და ემოციურ გადაღლაზე:

ხანდახან კი მექვს მართობის განცდა, როცა გადავიღლები ჩემი ფიქრით, ჩემი შრომით, ხანდახან მიფიქრია ასევე რომ ერთი მარტო მაცხოვრა სადმეთქო... მექვს მომენტები, როდესაც გადავიტვირთები მექვს ეს განცდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოჯახის წევრი მეყავს... (რესპონდენტი 10, 62 წლის).

რესპონდენტთა დიდი ნაწილი საუბრობს სასურველ სოციალურ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობაზე და ფსიქოლოგიურ სერვისზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებზე, რაც მათ დაეხმარებოდათ, თავი უკეთ ეგრძნოთ ემოციურად და რაც მხარდამჭერი იქნებოდა მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის კუთხითაც. რესპონდენტები ამაში მოიაზრებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ქალთა კლუბებს თუ კონკრეტული თემის ირგვლივ გაერთიანებულ შეხვედრებს, რაც მათ მისცემდა შესაძლებლობას, თავი მეტად ფუნქციურად ეგრძნოთ და აქტიური და მრავალფეროვანი გაეხადათ საკუთარი ყოველდღიურობა: „*კარგი იქნებოდა ასევე ვინმემ სადმე დაგპატიუოს, სადმე თეატრში, კულტურულ ღონისძიებაზე*“ (რესპონდენტი 2, 66 წლის).

მსგავსი სერვისის არსებობაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ეკისრება და ამ დრომდე არ არსებობს რეგიონში. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ინტერვიუს პროცესში აღნიშნავს, რომ იდეის დონეზე არსებობდა სურვილი, შექმნილიყო ხანდაზმულთა რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით ვარკვეული სერვისი, თუმცა, მისი განხორციელება, ბიუჯეტის არსებობის მიუხედავად, ვერ მოხდა: „*ბიუჯეტში გვაქვს ასახული 10 ათასი ლარი და ასე ქვია პროგრამას, 'ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და რესოციალიზაციაში ხელშეწყობა', თუმცა, ამჟამად ვერ დავწერეთ, ვერ მოვარგეთ რაიმე სახის პროექტი ჩვენს ბენეფიციარებს*“ (მერიის სოციალური პროგრამის წარმომადგენელი).

ჯანდაცვის საკითხები

რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათი შემოსავლების ძირითადი ნაწილი საკვებსა და ჯანდაცვის საჭიროებებზე იხარჯება, მათთვის სრულყოფილად ხელმისაწვდომი ჯანდაცვის ყველა სერვისი მაინც არ არის. პრობლემურ ფაქტორად ვლინდება ის გარემოება, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი საუბრობს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის სირთულეზე. რესპონდენტთა ნაწილი ახერხებს უფასოდ მიიღოს დანიშნული მედიკამენტების ნაწილი. მეორე ნაწილი კი საუბრობს იმ გარემოებაზე, რომ მედიკამენტებზე მაღალი ფასის გამო, უწევთ სხვა მნიშვნელოვან საჭიროებებზე უარის თქმა. რესპონდენტები ასევე საუბრობენ იმ გარემოებაზე, რომ მათ სამედიცინო საჭიროებებს ჯანდაცვის პროგრამები სრულად ვერ ფარავს.

პროგრამაში ალერგიული ასთმისთვის არ დევს არაფერი. მჭირდება სასუნთქი მედიკამენტი, მაგრამ საერთოდ არ შემიძლია ეს მედიკამენტი. მე მჭირდება მედიკამენტი, თუმცა არ მაქვს ამის ფინანსური შესაძლებლობა. მეძლევა მხოლოდ ორი წამალი უფასოდ. ძალიან გვიჭირს... (რესპონდენტი 4, 76 წლის)

ბესტაფონის მერიის სოციალური პროგრამის წარმომადგენლის განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი ოთხი პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს, რომლითაც სარგებლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უსინათლოები, უფასო სასადილოს სერვისით მოსარგებლე ბენეფიციარები და პირები, ვისაც ქირურგიული ოპერაცია სჭირდებათ. აქვე განმარტავენ, რომ შესაძლებელია განსხვავებული საჭიროების მქონე პირების მიმართაც განიხილონ, რა დროსაც ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით წყდება მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი.

მერიის სოციალური პროგრამების წარმომადგენელი ასევე საუბრობს ცალკეული პროგრამის შექმნის საფუძვლებზე და აღნიშნავს, რომ პროგრამის შექმნას წინასწარი მოკვლევა უდევს საფუძვლად. მიუხედავად აღნიშნულისა, გამომდინარე საჭიროებების მრავალფეროვნებისა და ბიუჯეტის სიმწირისა, მხარდამჭერი სერვისების სრულად ვერ ფარავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების საჭიროებებს.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პროგრამების დაგეგმარების კუთხით ვლინდება შემდეგი გარემოება. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, არის შემთხვევები, როდესაც რაიონში არსებული საჭიროებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერიის გამოყოფილი ბიუჯეტი ვერ სწვდება ბენეფიციართა რაოდენობას. არასაკმარისი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, კი ვერ ხდება მხარდამჭერი პროგრამების შექმნა.

ჩვენ გვინდოდა ასევე 90 წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეების დახმარება, ჩავატარეთ კვლევა ვასულ წელს, რამდენი ადამიანი ცხოვრობდა აღნიშნული ასაკის და აღმოჩნა, რომ ასეთი იყო 1000 ადამიანი, მაგრამ ბიუჯეტი არ იყო საკმარისი და ვერ

შეექმნით პროგრამა, თუმცა, მომავალში ვგეგმავთ (მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).

რესპონდენტების სურვილები ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდება, მათი ძირითადი შემოსავლის, პენსიის ზრდასთან ერთად.

ეკონომიკური საკითხები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დიდი ნაწილი ჩართულია საოჯახო შრომაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 60+ ასაკის ქალების ის ნაწილიც კი, რომელიც დასაქმებულია, დამატებით ასრულებს საოჯახო შრომას ან/და ჩართულია სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში. აღნიშნული ხელს უწყობს ქალების ფიზიკურ და ემოციურ გადაღლას და ჯანმრთელობის გართულებებს. ამასთან, მიუთითებს არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ვინაიდან მწირი შემოსავლების გამო, რომელსაც, ძირითადად, სახელმწიფო პენსია წარმოადგენს, ისინი იძულებულნი არიან დამატებითი შრომა გასწიონ: *„დილით ვდგები 6 საათზე, გამოვუშვებ ქათმებს, ვაჭმევ სიმინდს, მერე მივდივარ და ძროხას ვწველი, მერე მივადგები ბავშვების ზაკუსკას’. მაქვს ვენახი, ყანა, ბოსტანი და დავფუსფუსობ“* (რესპონდენტი 5, 72 წლის).

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა ჩართულია სოფლის მეურნეობაში ან დასაქმებულია და პარალელურად ასრულებს საოჯახო შრომას, ისინი მაინც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სირთულეების წინაშე იმყოფებიან. აღნიშნული, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ სოფლის მეურნეობა არასტაბილური და არაპროგნოზირებადი შემოსავალია. შესაბამისად, ადამიანები ვერ იღებენ შრომის შესაბამის სარგებელს. ასევე, დასაქმება ხშირად არ ნიშნავს ეკონომიკურ კეთილდღეობას, ვინაიდან შრომის ბაზარზე შრომის ანაზღაურება უმეტესწილად არ არის შესაბამისობაში გაწეულ შრომასთან. მწირი შემოსავლებიდან გამომდინარე, რესპონდენტებისთვის სირთულეს წარმოადგენს სემონური დასვენება. ისინი, ვინც წელიწადში ერთხელ მაინც ყოფილა სემონურად დასასვენებლად, დასვენების მიზნად ჯანმრთელობის მდგომარეობას და აღნიშნულის საფუძველზე ექიმის რეკომენდაციას ასახელებს. ამასთან ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დასვენებისთვის საჭირო თანხას მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ.

რესპონდენტთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, არ აქვთ შესაძლებლობა სამედიცინო დანიშნულების მიზნით მაინც მოახერხონ სემონური დასვენება: *„ალერგიული ასთმა მაქვს და ვსაჭიროებ სურამში წასვლას, მაგრამ ვერ ვახერხებ, ადრე ამას სულ ვახერხებდი ორი, სამი კვირით გასვლას“* (რესპონდენტი 6, 76 წლის).

ამის გარდა არიან სხვა რესპონდენტებიც, ვინც აღნიშნა, რომ არასდროს ან იშვიათად ისვენებენ: „არასოდეს არ ვყოფილვარ დასასვენებლად. თუ წავალ ჩემს სოფელში, საიდანაც ვარ გამოთხოვილი“ (რესპონდენტი 1, 68 წლის).

ეს ყოველივე რესპონდენტების ეკონომიკურ მდგომარეობასა და შემოსავლებთან არის კავშირში. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დიდ ნაწილს აქვს საპენსიო სესხი ან ვალი ადგილობრივი უბნის მალაზიაში. ქალები საუბრობენ ბიუჯეტის დაგეგმარების სირთულეზე, ვინაიდან ხარჯები აღემატება შემოსავლებს და, როგორც ამბობენ, პენსია წინასწარ აქვთ დახარჯული ვალის სახით: „მაქვს ვალი, საპენსიო სესხიც მაქვს, ვალი უბნის მალაზიაშიც. დაფარვას ვახერხებ მაშინ, როცა ავიღებ ხელოფას და პენსიას“ (რესპონდენტი 11, 68 წლის).

რესპონდენტების სურვილები, ძირითადად, უკავშირდება პენსიის ზრდას, გამომდინარე იქედან, რომ უმრავლესობა მათგანისთვის პენსია არის შემოსავლის ძირითადი წყარო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მერიის წარმომადგენელი საუბრობს გაწეული მომსახურებების ეფექტიანობის კვლევის შესახებ. აღნიშნავს, რომ მერია მუდმივად ატარებს აღნიშნულ კვლევას იმისთვის, რომ შეფასდეს გაწეული მხარდაჭერის მიზნობრიობა და შედეგები. თუმცა, უცნობია აღნიშნულის საფუძველზე პროგრამის გაუქმების თუ გაუმჯობესების გამოცდილებების შესახებ ინფორმაცია.

ეფექტიანობის კვლევას ყოველ თვეში ვატარებთ, ჩვენს მიერ გაცემული თანხები რამდენად ეფექტური იყო, რამდენად გაუმჯობესდა მოქალაქის მდგომარეობა. გვაქვს ინსტრუმენტები, რამდენად ეფექტურია, ესა თუ ის პროგრამა და ეს ხომ არ არის ტყუილად გადაყრილი თანხა. (მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).

პრობლემატურად იკვეთება ის ფაქტი, რომ ნაკლებად ხდება საინფორმაციო კამპანიების ჩატარება უკვე არსებული სერვისების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით. ეს, შესაძლოა, შემდგომ გავლენას ახდენდეს ამ სოციალური პროგრამებით სარგებლობაზე: „ასე მასიურად ადვოკატირება გაუწიო ნაკლებად, ინდივიდუალურად თუ მოვა ადამიანი და თანადგომას იგრძნობს და სწავლებას გაუწევთ მხოლოდ ეს არის“ (მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).

დასკვნა

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დასკვნის სახით შესაძლებელია გარკვეული მდგომარეობების იდენტიფიცირება სოციალური ურთიერთობების, ჯანდაცვისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიმართულებით:

კვლევამ აჩვენა, რომ 60+ ასაკის ქალებისთვის საოჯახო შრომა და საკუთარი საქმიანობით ოჯახის ბიუჯეტში წვლილის შეტანა წარმოადგენს – ერთი მხრივ – საკუთარი თავის მნიშვნელოვნად და საჭიროდ აღქმის საფუძველს და – მეორე მხრივ – დამატებით საქმიანობას, რომელიც მათ ფიზიკურ და ემოციურ გადაღლასთან არის დაკავშირებული და, შესაძლოა, ფიზიკური განმარტოების სურვილს იწვევდეს, რაც არსებული პასუხისმგებლობებისგან თავის არიდების საფუძველია.

კვლევამ აჩვენა, რომ 60+ ასაკის ქალებს მძიმე ეკონომიკურ პირობებში უწევთ არსებობა, რაზეც მათი მწირი შემოსავლები, საპენსიო სესხი და ბაზისურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობის სირთულე მიუთითებს და „ღირსეული სიბერის“ მიმართულებით პრობლემურ გარემოებას წარმოადგენს.

კვლევამ ასევე აჩვენა რომ 60+ ქალებს აქვს ჯანდაცვის სერვისებზე სრულყოფილად ხელმისაწვდომობის პრობლემა. რაც, ერთი მხრივ, მწირ შემოსავლებზე მიუთითებს, ხოლო მეორე მხრივ ავლენს, რომ სახელმწიფო ჯანდაცვის სერვისები ვერ ფარავს ყველა მიზნობრივ კატეგორიას. ეს სახელმწიფოს მხრიდან მის მიერ მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის არაჯეროვნად შესრულებაზე მიუთითებს და უარყოფით გავლენას ახდენს „ღირსეული სიბერის“ მდგომარეობის მიღწევაზე.

რეკომენდაციები

მრავალი კვლევით დასტურდება, რომ მსოფლიოს მასშტაბით განათლებაზე, ჯანდაცვის სერვისებზე, სოციალური მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა არათუ ქვეყნებს შორის, არამედ თავად ცალკეულ ქვეყნებში რეგიონალურ დონეზე განსხვავდება (World Health Organization and the International Bank for Reconstruction, 2025). ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე კვლევის რეკომენდაციები გამომდინარეობს მხოლოდ კვლევაში ჩართული რესპონდენტების მონათხრობიდან და არ არის განზოგადებადი. იმისთვის, რომ მისი განზოგადება მოხდეს მთლიანად რეგიონზე, თუ ქვეყნის დონეზე, რეკომენდირებულია ჩატარდეს მეტად ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევა.

მიმდინარე კვლევის შედეგებით შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება. წარდგენილი რეკომენდაციები მიემართება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიასა და მერიის სოციალურ სამსახურს, რათა გაძლიერდეს საპენსიო ასაკს მიღწეული ქალების საზოგადოებაში ჩართულობა, სოციალური ინტეგრაცია და მომსახურე სერვისები.

1. რეკომენდირებულია, გაუმჯობესდეს სოციალური მხარდაჭერის სერვისები, რომლებიც ხელს შეუწყობს საპენსიო ასაკს მიღწეული ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას და სოციალურ ინტეგრაციას.
2. ხელი შეეწყოს ჯანდაცვის პროგრამებზე ხელმისაწვდომობას. გათვალისწინებულ იქნას ცალკეული ქრონიკული დაავადებები, რომლებიც ხშირად პრობლემატურია აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისთვის.
3. ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო მხარდაჭერას. აქ იგულისხმება, როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური მხარდაჭერა, რომელიც გაამარტივებდა შრომას.
4. რეკომენდირებულია ემოციური მხარდაჭერის სისტემების ფორმირება და გაძლიერება, იმისთვის რომ აღნიშნულმა ასაკობრივმა კატეგორიამ თავი მეტად ფუნქციურად იგრძნოს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსგავსი პროექტისთვის ბიუჯეტი უკვე არსებობს, და საჭიროა მხოლოდ პროექტის შემუშავება და დამტკიცება.

ბიბლიოგრაფია

ბრუნი, ბარტ დე & ჭითანავა, მავა. (2017). მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA).

World Health Organization and the International Bank for Reconstruction. (2025). Tracking Universal health coverage 2025 global monitoring report.

www.geostat.ge. (n.d.). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>

კაჭკაჭიშვილი, ი., & პაპიაშვილი, ა. (2021). მარტობა ხანდაზმულებში. თბილისი: გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA).

ლ. გაფრინდაშვილი; ნ. ბენდელიანი; მ. ამაშუკელი;. (2014). ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაკროეკონომიკურ რეგიონებში. თბილისი.

ნ. სუმბაძე; ა. ქიტიაშვილი; თ. აბაშიძე; ი. ჟვანია; თ. მახარაძე. (2020). ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდაზმულებისთვის საქართველოში – არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები. თბილისი.

საქართველოს პარლამენტი. (2017, 05 27). Retrieved from matsne.gov.ge: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3297267?publication=0>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; . (n.d.). www.geostat.ge. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

ⁱ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

ⁱⁱ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunbrivi-mateba>

ⁱⁱⁱ <https://geostat.ge/media/70202/Saarsebo-shemweobis-mimghebi-mosaxleoba.xls>